ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

№ 220
1877

ივერია

№ 220
1903

ოკტომბერი. 15, ოთხშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოკტომბერი 15, ოთხშაბათი 1903

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

მ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აპიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ აკვარელით (ფერადებით) საუცხოვოდ დახატული.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი ტარასი სიმონის ძე მომცემაძე.

წარმოდგენა № 8. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 16 ოკდომბერს 1903 წ.

ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

I

შეშლილია

დრამა 3 მოქმ. თარ. ვ. აბაშიძის მიერ.

II

მშვენიერ ელენეს მაძიებელნი

კომედია - ფარ. 2 მოქმ. გად. ა. ცაგარლის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელისა, მ. მდივანი, ა. რონელი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი აკაკი.

ავლაბრის ახალი თეატრი № 6.

შაბათს, 18 ოკდომბერს 1903 წ.,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

სამშობლო

ისტ. დრამა 5 მოქმ. და 6 სურ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გამყრელიძისა, მ. მდივანი, ნებიერიძისა. ბ-ნნი: დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

რეჟისორი გედევანოვი.

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ოთხშაბათს, 14 ოკდომბერს 1903 წ.

წარმოდგენილი იქნება

ფაუსტი

ოპერა 5 მოქ., მუსიკა ჰუნოსი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ბი: არციბაშევისა, კალინინისა, ლევინა; ბ-ნნი: ფიგნერი, ევლახოვი, სანგურსკი, გავრილოვი.

უფროსი რეჟისორი ბ-ნი ბოგოლიუბოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ჰოჰენი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ხუთშაბათს, 16 ოკდომბერს წარმოდგენილი იქნება „რიგოლეტო“, ოპერა 4 მოქმ. მუსიკა ვერდისა.

ბილეთები იყიდება.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ქ. ი. მძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ვადმყოფობი სა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

გ. ი. ჯიჯინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი

საზარელი ბოროტ-მოქმედება. გუშინ, ნაშუადღევის მეხუთე საათზედ, ტფილისში შემაძრწუნებელი ბოროტ-მოქმედება მოხდა, რომელმაც მთელი ქალაქი შეაშფოთა. მის ბრწყინვალებას, კავკასიის მთავარმართებელს თ-დ ს. გ. გოლიცინს ავაზაკურად დაეცნენ ბოროტ-გამზრახველნი და მოკვლას უპირებდნენ. ხოლო ბოროტი აზრი ვერ დაუმთავრებიათ და გაქცეულან.

სიამოვნებით უნდა ვაუწყოთ მკითხველებს, რომ ჭრილობა მძიმე არ არის და მისი ბრწყინვალება ადვილად განიკურნება

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-მა დ. ზ. მელიქიშვილმა 13 ოკდომბერს დეპეშით მიულოცა მის იმპერატორებით უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს დაბადების დღე და 14 ოკდომბერს მიიღო მის უმაღლესობისაგან შემდეგი საპასუხო დეპეშა:

„გულითადს მადლობას ვუცხადებ ტფილისის თავად-აზნაურობას მოლოცვისათვის ‍ღ გულწრფელს თანაგრძნობისათვის, რომელმაც მე დიდად მასიამოვნა და რომელიც ჩემთვის ძვირფასია.“

მიხეილი.

13 ოკდომბერს, დილის რვა საათზედ, დეკანოზმა მამა ესტატე ელიაშვილმა აკურთხა, მთავრობის ნება-დართვით, საძირკველი დროებით სამლოცველო სახლისა ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკკლესიის გალავანში, ასასრულებლად წირვა-ლოცვისა იმ დრომდინ, ვიდრე ეხლანდელის კედლებ დაზიანებულ ძველის ქვაშუეთის ეკკლესიის მაგიერ, აშენდება და იკურთხევა ახალი დიდი ეკკლესია, სამთავისის ეკკლესიის მსგავსი. საძირკვლის კურთხევაზედ დაესწრნენ მთლად ქვაშვეთის კრებული, აქ მომუშავე ხელოსნები, თავიანთ ქარგლებითა და მუშებით, და მრავალი ხალხი. დეკანოზმა მამა ელიაშვილმა საძირკვლის კურთხევის დროს წარმოსთქვა და ახლოებით შემდეგი მოკლე სიტყვა:

„განვლო 151 წელმა მას უკან, რაც ეს ქვაშუეთის წმიდა გიორგის ეკკლესია აუშენებია წარჩინებულსა და სახელოვანს თავადს და საქართველოს ერთგულ შვილს—გივი ამილახორს, რომლის ძის ძენი და ასულნი აქამომდე არიან ერთგულნი მრევლნი და მლოცველნი ამ ეკკლესიისა. ბევრი მლოცველი ჰყოლია ამ ეკკლესიას,—როგორც მღვდელნი, ისე ერის კაცნი,—ბევრი სასიხარულო და სამწუხარო დღეები უნახავს, ბევრჯელ ეს კედლები იყვნენ უხმო და უნებლიეთნი მოწმენი მტრის შემოსევისა, ქვეყნის მოოხრებისა, იმ სიწმიდეთა შებღალვისა ‍ღ წაბილწვისა, რომლებსაც იგინი ინახვენ,—მაგრამ უფალმან არ დაარღვევინა ეს ეკკლესია საუკუნოდ და იხსნა იმათ ხელიდგან. ღმერთმანვე აღმოუჩინა ამ ეკკლესიას სანუგეშოდ ისეთნი ერთგულნი მლოცველნი, რომელნიც აფართოებდნენ მას ეკვდერის მიშენებით, ამშვენებდნენ და ზრუნავდნენ ამის განახლებისათვის. თვით ეს ეკკლესია სიამოვნებით და ლოცვით იცავდა თავის ზღუდეთა შორის ამ გვარ მლოცველებს, როგორც სიცოცხლის დროს, ეგრედვე სიკვდილს შემდგომაც, რადგანაც ხსენება იმათი იყო და არის ძვირფასი, როგორც მათის შთამომავლობისა, ეგრედვე ამ ეკკლესიისათვის. მაგრამ შეიცვალა ხალხის ხასიათი; შესწყდა ძაფი მზრუნველობისა ეკკლესიისათვის. ეხლა იშვიათია შემწე და დამხმარებელი ეკკლესიისა. თუ თვით ამ ეკკლესიის მსახურთ არ შეეძინათ ეკკლესიის გარეშემო ადგილი და შენობები ირ გაეკეთებინათ, ეს ეკკლესია თითქმის ყველასგან უყურადღებოდ და უნუგეშოდ იქმნებოდა მიტოვებული. იშვიათადა ვხედავთ, რომ წარჩინებული გვართა წარმომადგენელნი, რომელთა წინაპარნი აქ განისვენებენ, ამ ეკკლესიაში ლოცულობდნენ და გულშემატკივრობას იჩენდნენ. ღმერთმან მისცეს სიმრთელე და განაგრძოს კეთილ-დღეობითი სიცოცხლე ამ ეკკლესიის მზრუნველებისა. ღმერთმან აკურთხოს ისინიც, რომლებიც ამ ეკკლესიის მლოცველები არ არიან, თუმცა მათნი წინაპარნი და ნათესავნი ამ ეკკლესიის ერთგულნი იყვნენ... რადგან ეკკლესიის კედლები დაზიანდა და დაირღვა, გადავწყვიტეთ აშენდეს ამ ძველის ეკკლესიის ადგილზე ახალი ეკკლესია, ამაზე უფრო დიდი და შნოიანი. მომავალ ეკკლესიის აშენება და დასრულება კარგა ხანს განგრძელდება. მაშასადამე, მრევლი რომ უწირვალოცვოდ არ დარჩეს, ვიდრე ახალი ეკკლესია აშენდება, საჭიროდ დავინახეთ სამლოცველო სახლი ავაშენოთ, რომელშიაც დროებითი ეკკლესია იქმნება. აი ამ დროებითის ეკკლესიის საძირკველი ეკურთხა ამ ჟამად. ვევედროთ ღმერთსა, რომ ამ დროებით სამლოცველო სახლში ისმენდეს და მიიღებდეს ჩვენს ლოცვასა და ვედრებას და წყალობის მიმლოდელნი ვმადლობდეთ და ვაკურთხევდეთ უფალსა უკუნითი უკუნისამდე. ამინ“.

ქუთაისის მასწავლებელი ასტიონ ვერბიცკი გადმოიყვანეს ტფილისის სემინარიაში გომილეტიკისა და სხვა მასთან შეერთებულის საგნების მასწავლებლად.

კანდიდატი პეტერბურგის სასულიერო აკადემიისა მღვდელი ალექსანდრე რეჩენსკი დანიშნეს ქუთაისის სემინარიაში სამღმთო წერილის მასწავლებლად.

ქელიშის მონასტრის წინამძღვრად ნამყოფი, არხიმანდრიტი ამბროსი უკვე გამგზავრებულა დონის ეპარქიაში, სადაც ის უსტ-მედვეჟის სასულიერო სასწავლებლის უფროსად დანიშნეს.

როგორც პეტერბურგიდამ გვატყობინებენ, ე. მამინაიშვილს პეტერბურგში უშოვნია სამსახურის ადგილი და სასულიერო წოდებაში სამსახურს სრულიად ჩამოსთხოვებია.

ეს რამდენიმე წელიწადია, უმაღლესმა მთავრობამ ლაპარაკი აღძრა ამიერ-კავკასიისთვის სულით ავადმყოფთა თავშესაფარის დაარსების შესახებ. თავშესაფარს ექმნება კაცებისა, ქალებისა და ბავშვების განყოფილებანი. მთავრობას უკვე გადაუდვია ამ საქმისთვის 500,000 მანეთამდე. ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგის ქალაქის სულით ავადმყოფთა თავ-შესაფარის უფროსი ექიმი მილიაროვსკი, რომელსაც მინდობილი აქვს თავშესაფარისათვის ადგილის ამორჩევა. თავშესაფარის გამართვას ჰფიქრობენ ქობულეთში.

კვირას, 12 ოკდომბერს, ტფილისში გარდაიცვალა შეძლებული კაცი, ა. იშამხაროვი, რომელიც აქაურ დაშოვნის სამმართველოს უფროსად იყო. განსვენებულს ტფილისის თვით-მართველობისათვის ანდერძით დაუტოვებია 200,000 მანეთზე მეტი. ანდერძით, ქალაქმა ეს ფული უნდა მოახმაროს სასწავლებლების დაარსებასა და სულით ავადმყოფთა თავშესაფარის სადგომის მოწყობას.

პეტერბურგიდან „ცნობ. ფურც.“ სწერენ: სეკდემბრის 30-ს აქ გაიწყო ხილეულობის პირველი გამოფენა-იარმარკა, რომელიც სრულიად რუსეთის საიმპერატორო საზოგადოებამ მეხილეობისამ გამართა აქ მიხეილის მანეჟში. ექსპონენტთა შორის ქართველიც აღმოჩნდა—ფირმა „ანკარა“, რომელიც ხილის კონსერვებს აკეთებს თურმე და ხილსაც ამერიკულის წესით აპარატებში ახმობს და ჩირად აკეთებს. როგორც შევიტყეთ, ფირმა „ანკარა“ დაუარსებია ბ-ნ ანდრია ღულაძეს შარშან. მწარმოებლად მიუპატიჟნია ამ საქმის კარგად მცოდნე ტეხნიკოსი ბ-ნი გრიგოლ თოიძე და მუშაობას შესდგომიან თავ. ილია ჭავჭავაძის ბაღში სოფ. საგურამოს. წელს თავ. ჭავჭავაძეც შეამხანაგებია ამ ორ კაცს და საამხანაგო ხაწარმოების ხიმუშები აქ გამოუგზავნიათ გამოფენაზე. წარმოუდგენიათ კონსერვები ატმისა, თეთრი ბალისა ალუბლისა და გარგარისა, ამასთან ჩირიც. 6 ოკდომბერს მიწათ-მოქმედების სამინისტროს დარბაზში დიდი კრება იყო, სადაც ყველა ექსპონენტი იყო მიწვეული. ამ დღეს საჩუქრები გამოუცხადეს ექსპონენტებს. ჩვენს ჯერ ნორჩ წარმოებას „ანკარა“-ს ოქროს მედალი მიუსაჯეს „კონსერვებისა და ხმელის ხილის მშვენივრად დამზადებისათვის“-ო, გამოაცხადა ექსპერტთა შეერთებულთ კომისიების თავმჯდომარემ.

ტფილისის ქალაქის ტეხნიკოსმა ზურაბიანცმა წარუდგინა გუშინ გამგეობას გეგმა ქალაქის ერთის უდიდესის უბნის ჩუღურეთის ქუჩების მოწესრიგების შესახებ. გეგმაში აღნიშნულია ნიკოლოზის ქუჩაც, რომლის ერთი ნაწილი, საკომერციო სასწავლებლის პირდაპირ, ხმოსანს ქიუჩარიანცს მიუთვისებია.

მკითხველებს ეხსომებათ ფოსტის გაძარცვის საქმე სოფ. ბორჩხაში, ბათუმის ოლქში. ეს საქმე სამხედრო სასამართლოს გადაეცემა განსახილველად.

ტფილისის ხელოსანთა გამგეობამ გუშინ-წინ ხელმეორედ მისწერა ამქრების უსტაბაშებს, დაუყოვნებლივ წარადგინონ ხელოსნებზე დარჩენილი გადასახადი. თუ ვინიცობაა გადასახადი ერთის კვირის განმავლობაში არ იქმნება წარდგენილი, უსტაბაშები პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი, ნათქვამია მიწერილობაში.

12 ოკდომბრისათვის მესამედ იყო დანიშნული ქალთა ტანისამოსის მკერვალ ამქრის მოხელეთა არჩევანი. ამ დღეს ქალებს აღარ მისცეს ნება არჩევანში მონაწილეობა მიეღოთ, ხოლო შეგიძლიანთ კაცებს მისცეთ ვექილობის ქაღალდიო. კრებამ ამქრის მამასახლისად აარჩია მ. ს. მელენჩუკი, იმის ამხანაგებად პავლიჩეკი და ტოროგოვი, ხოლო ხმოსნებად კვაჭაიძე და რეშეტნიკოვი.

ავლაბარში, სახელმწიფო ცხენების მომშენებელ ქარხნის მახლობლად, ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ სახელმწიფო მიწა ნაჭრებად დაჰყო და იჯარით დაურიგა მცხოვრებთ

რადგან ქუჩა დაგეგმული არ არის და შესაძლებელია მოიჯარადრეებმა ქალაქის ქუჩა მიისაკუთრონ, ქალაქის მიწის მზომელმა შეატყობინა გამგეობას, დაგეგმოს ქუჩა.

—

ქალაქის საბჭო. გუშინ-წინ, ორშაბათს, 13 ოქტომბერს, ქალაქის საბჭოს კრება, 8 საათზედ გამოცხადებული, დაიწყო 8 ს. და 40 წუთზედ. ეს კრება განგრძობა იყო 6 ოქტომბრის კრებისა. განსახილველად დანიშნული იყო ის საგნები, რის განხილვაც 6 ოქტომბერს ვერ მოასწრეს ჩვენის ქალაქის „მამებმა“,—სულ 6 საგანი.

გამგეობის წევრმა კოჩაევმა წაიკითხა გამგეობის მოხსენება ნავთლუღში სკვერის გამართვის შესახებ. როდესაც მოხსენების კითხვა გაათავა, თავმჯდომარემ, ქალაქის მოურავმა თავ. ნ. ვ. არღუთაშვილმა-მხარგრძელმა გამოაცხადა, გთხოვთ ვინც თანახმა ხართ, ფეხზედ ადექითო.

ყველანი ფეხზედ წამოდგნენ და ამნაირად უკვე გადასწყდა ერთი საგანი რამდენისამე წუთის განმავლობაში.

მეორე განსახილველი საგანი იყო ქ. ტფილისის 1903 წლის დამატებითი შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. ესეც ისევე ხელად და თავშეუწუხებლად გადასწყვიტეს, როგორც პირველი საგანი, ე. ი. ფეხზედ ადგომით, თუმცა აღმოჩნდა, რომ საანგარიშო წელს თურმე ქალაქს 200,000 მანეთი დეფიციტი ჰქონია.

გვეგონა, რომ ერთ საათში ყველა საგნებს განიხილავდნენ, მით უმეტეს, რომ იმდენად ბევრი არაფერი იყო განსახილველი, მაგრამ თურმე ჯერ სადა ართ!.. ჯერ არ გაჰლევიძებიათ „სარეჩო“ ადა არშაკ სერგეიჩისა და ალექსანდრე ბუდღანოვიჩს!..

გამგეობამ მოახსენა საბჭოს, რომ სანიტარ-ბეითლები ხშირად ყასბების საკლავ საქონელს უვარგისად სცნობენ, აწვევინებენ და ქალაქი მოვალეა უზღოს ზარალი, თორემ კიდევ გაიფიცებიან და უხორცოდ დავრჩებითო; როგორც ყველამ უკვე იცით, ამ ზაფხულს ყასბებმა გაფიცვა გადასწყვიტეს და მთელი ქალაქი უხორცოდ იყოვო.

ზოგიერთი ხმოსნები ამ აზრისანი იყვნენ, რომ ვუზღოთო, თორემ შესაძლებელია, კიდევ გაიფიცნენ და უხორცოდ დაგვტოვონ ისე, როგორც ამ ზაფხულს დაგვტოვესო.

ამათ მოწინაამდეგე ხმოსნებმა უპასუხეს: ამ ზაფხულს მხოლოდ ქალაქში გაიფიცნენ ყასბები და თქვენ ყველანი-კი „დოხაში“ იყავითო!

შეიქნა სიცილ-ხარხარი; ქანდარაზე რამდენიმე მანდილოსანი იყო და მათი კისკისი მთელს დარბაზში ერჩეოდა. სწვდა თავმჯდომარე ზარს და დაუწყო რაწკუნი; ამ საზოგადო სიცილ-ხარხარმა და ზარის ხმამ ცოტათი გამომაფხიზლა, თორემ, კინაღამ ჩამთვლიმა!

წამოდგა არშაკ სერგეიჩ ბაბოვი, ეს მუდმივი წევრი ტფილისის საბჭოს „რაამბავიასი“, და „რეჩის“ თქმის ნება ითხოვა. ნებაც მალე მიიღო.

„მეო, —სთქვა არშაკ სერგეიჩმა,— შიგნით-შიგან ვიცი მიზეზი გასული ზაფხულის გაფიცვისაო; საწყალი ყასაბი ყიდულობს საკლავ საქონელს, ინახავს კარგა ხანს, აჭმევს თივა-ქერს და, როცა დაჰკლავს, მიბრძანდება სანიტარ ბეითალი და ეუბნება: აჰკიდე მუშასა, წაიღე და დასწვიო. რა ჰქნას აქ ყასაბმა, რომ არ გაიფიცოს?.. ჯერ საქონლის ყიდვა, მერე მისი შენახვა, დაკვლა-გატყავება და მერე უსარგებლოდ გადაგდება, ყველა ესენი აიძულებს ყასბებს, რომ გაიფიცნენ და ხორცის გაყიდვაზე ხელი აიღონ. უნდა დავაკმაყოფილოთო, დაასრულა „რეჩი“ ბ-ნმა არ. ს. ბაბოვმა, უნდა როგორმე ვუშველოთ ჩვენს თავს, რათა გაფიცვა კვლავ აღარ განმეორდესო. ამასთანავე გაფიცვის დროს ქალაქი სხვაფრივაც ზარალობს: ერთის სიტყვით, გაფიცვა არავითარ შემთხვევაში სასარგებლო არ არისო.

თუმცა არშაკ სერგეიჩმა „რეჩი“ ცოტათი გაჭიმა, მაგრამ «მამებმა» ეს საგანიც ადგომდაჯდომიობით გადასწყვიტეს, ე. ი. შეწყნარებულ იქმნა ყასბების დაჯილდოვება.

წამოდგა ა. ბ. ევანგულოვი და სიტყვა ითხოვა. ქალაქის მოურავმა უთხრა, რომ საქმე გადაწყვეტილიაო.

ა. ბ. ევანგულოვი. მე თანახმა არა ვარ.

ქალაქის მოურავი. ბ-ნო, რა საჭიროა უსათუოდ თქვენი თანხმობა, როდესაც საქმე ხმის უმეტესობით გადაწყდა!..

აქ დაბალის ხმით ხმოსანმა ევანგულოვმა შეუფერებელი სიტყვა იხმარა ქალაქის მოურავის მიმართ. მოურავმა შენიშნა, რომ ნება არა აქვს ხმოსანს შეუსაბამო სიტყვებით მიჰმართოს ქალაქის მოურავს კრებაზედაო.

ა. ბ. ევანგულოვი. მაშ, სიტყვის თქმის ნება მომეცით.

თავმჯდომარე. (ხელს ჩაიქნევს და გაჯავრებით) არ გაძლევთ სიტყვას.

ა. ბ. ევანგულოვი. ვთხოვ მდივანს ოქმში ჩაურთოს, როგორც მოურავის, ისე ჩემი სიტყვებიც.

თავმჯდომარე. ჩაურთოს!

შეიქნა დარბაზში ერთი ღრიანცელი. თავმჯდომარე ზარს უკრავს. ხმოსნები გაყოფილნი არიან ორ დასად: მემარცხენეთა და მემარჯვენეთ. მემარცხენე მხარეზედ თითქმის ყველანი ორატორები არიან, მემარჯვენენი-კი „რეჩების“ მოძულენი. ერთს მემარჯვენეს ამოუღია კალმის დანა და ფრჩხილს იჭრის.

როცა ცოტათი დაშოშმინდნენ, გამგეობამ წაიკითხა მოხსენება ტფილისის საქალაქო უწყებაში მოსამსახურეთათვის საპენსიო კასის პროექტის შესახებ და ითხოვდნენ საფინანსო კომისიის დასკვნას ამაზედ.

აქეთ-იქიდგან გაისმა ხმები: მივცეთ პენსია ქალაქის ერთგულ მსახურთ და ამით ერთხელ და სამუდამოდ უზრუნველ-ვყოთ ჩვენი ერთგული მოსამსახურენიო.

(დასასრული ხვალ)

სათეატრო შენიშვნები

III

დღეს ჩვენი ქართული სცენა სწორედ იმ ყოფაშია, რა ყოფაშიაც რუსის სცენა და თეატრი იყო ნეტარ ხსენებულ თავ. შახავსკოის დროს. მაშინდელი დრამატიული ლიტერატურის გაბერილობა რუსულს ენაზე გააოცებს მკითხველს. აქაო და დრომ მოიტანა და სცენას ალო დაუდგა, რადგანაც თვით იმპერატრიცა ეკატერინე II-ც კი სწერს კომედიებსო, მიჰყვეს ხელი და დიდი და პატარა, უნიჭო და ნიჭიერი ყველა დრამატიულ მწერლებად გადიქცა მის გუნებაში. მიუბაძავათ, თავის საკუთარს, რასაკვირველია, ვერას მოახერხებდნენ და ევროპიულ ცნობილ პიესებს შექსპირიდან დაწყებული უკანასკნელ კოცებუმდე ამახინჯებდნენ და ამახინჯებდნენ... გადმოვაკეთეთო. პირდაპირ ნათარგმნებს კიდევ უფრო ცუდი დღე დაუდგათ: მაშინ, იმ დროის რუსები, ცოტა მწყრალად ბრძანდებოდნენ მშობლიურ წერა-კითხვაზე, განსაკუთრებით მაღალი წოდება უცხო ენებს ეტანებოდა და ფრანგული უფრო ემარჯვებოდა, ისე როდია დღეს ჩვენში. და უცბად, მოულოდნელად, რომ დრომ მოდათ შემოიღო პიესების ჩხაპვნა, იმათაც გაუსვეს ხელი და ბარბაროსულის ენით სთარგმნიდნენ, რასაც-კი წააწყდებოდნენ უცხო ენებზე, რუსის შავი პურივით ცხვებოდა პიესები ვითომდა რუსულს ენაზედ. უთვალავი იყო მათი რიცხვი, მაგრამ სათვალთვალო- კი არც ერთი არ გამოდგარა. დღეს იმათი გადასინჯვა-კი სიცილს მოჰგვრის ადამიანს. „როგორიც ალხანაო, ისეთივე ჩალხანაო“, ნათქვამია. იმ დროში გაპანპულავებულ რუსის სცენას რეცენზენტ-კრიტიკოსებიც შესაფერი ჰყავდა. თამამად მსჯელობდნენ მაზე, რაც არ გაეგებოდათ.

დღეს ჩვენც ამავე ყოფაში ვართ და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ შეგვეძლო თავიდან აგვეცილნა ეს ჭირი. პიესებიცა გვაქვს, ნიჭსაც ვერ დავემდურებით, მაგრამ დროთა ვითარებამ, გაგვანაცარქექიავა, და... მკვდრის ძილმა წაგვილო, თვალის გახელა გვიჭირს და ცხვირს იქით ველარასა ვხედავთ. აბა, რა შვილები ხართ? სად რამე გბადებიათ როდისმე, რომ ახლა გებადოთ რამ? ვინ მოგცათ ნიჭი? რა შეგიძლიანთ? და სხვ... ასე დაგვცინიან მტრები და ჩვენც ოჩოპინტურულად ვეთანხმებით... ბანს ვაძლევთ ჩვენთვის ავის მსურველებს და ვჰყვირით: „მართალია! მართალია!.. არა გვაქვს რა! არა გაგვაჩნია რამ!“

ეს უარ ყოფა საზოგადო თვისებაა უმეტესობისა. რაც თვითონ არ უნახავს და არ იცის, ის არცა სჯერა. მოვიტან ერთ მაგალითს: ამას წინეთ ერთი ნაცნობი ინტელიგენტი შემხვდა და მეგობრულად მისაყვედურა: ცოდვა არ არის, რომ ზარმაცი ხარ და არასა სწერო?!. რამდენიმე სასიმღერო ლექსი დაგიწერია და მორჩაგათავდი!.. თურმე რა გამოდგა? იმ ვაჟბატონს არაფერი არ უკითხავს და ის ორიოდე ლექსიც სიმღერის დროს გაუგონია ძალა-უნებურად. უმეტესობა ამ ვაჟბატონსა ჰგავს. ხშირად გვკითხავენ ხოლმე: „რატომ აღარა ჰსწერო?“ და თუ უპასუხეთ: როგორ არ ვსწერ აი ამა და ამ გაზეთში, ანუ ჟურნალშიო. მართლაო—გაგიმეორებენ—ჩვენ არ მოგვდის, არ ვიწერთ მაგ გაზეთსაო და სხვანი... ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ ფეოდალურის გრძნობით არის გამსჭვალული, თვითონ არაფრისათვის არ იწუხებს თავს. უნდა ყოველიფერი კარზე მიაყენო, და მწერლებმაც მათი ნაწერი უნდა ხონჩაზე დაულაგონ ცხელ-ცხელი ხაჭაპურებივით და ქოდ-მოხდილებმა ძღვნით მიართვან; მოიღეთ მოწყალება, იგემეთ, ნუ დაგვამწყრალებთო და სხვანი... და, მართლაც, თუ მიიღეს მოწყალება, მაშინაც მხოლოდ თუ უსუნებენ. ამავე საკირეშია ჩავარდნილი ქართული რეპერტუარიც. ან ისტორიული ან ცხოვრებითი ნაციონალური რამ სად გაგვაჩნიაო, რომ გაიძახიან, რა უფლება აქვთ და რა იციან? ვის და როდის უდევნებია თვალყური, ასე დაბეჯითებით რომ ყარაულს ჰყოფენ? ჩვენს არტისტს ბ-ნ ვასილ აბაშიძეს შეუდგენია სია, რასაკვირველია, სრული არც ის არის, მაგრამ მაინც იქიდან სჩანს, რომ ჩვენი დრამატიული ლიტერატურა ღარიბი არ არის. თუ იტყვიან, რომ რიცხვით ბევრი გვაქვს, მაგრამ სახსენებელი არ არიანო, მაშინაც შესცდებიან: რაც უნდა ნაკლულევანი იყოს რ. ერისთავის, გ. წერეთლისა, თ. გ. შარვაშიძის, დ. მიქელაძის და სხვების პიესები ჩვენის ცხოვრებიდან აღებული, კიდევ მაინც არ სჯობდეს კრილოვების, ივანოვებს და ათას ჯანდაბავოების ნაჩხაბნებს, სადაც ჩვენთვის სანუკვარი არა არის რა!.. და რა მიზეზია, რომ ჩვენი თოფის სასროლზედაც აღარ მიგვიკარებია და სხვებისას კი ვეტანებით, გინდ შიგ კვასისა და შავი პურის მეტი არა ეყაროს რა. აი სწორეთ ამასა ჰქვიან „შინა კრ მღვდელს შენდობა არა აქვსო“. სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ასამდი მეტია ქართული ორგინალური პიესები, რომლის წარმოდგენა შესაძლებელია, შეიძლება ისინი მაინცა და მაინც ხელოვნების მხრით შესანიშნავები არ იყონ, მაგრამ იმ ჩიქართულად ნათარგმნ-ნაჯღაბნ პიესებს კიდევ აჯობებენ, რომლითაც ჩვენს სცენას თავი მოაქვს. რა მიზეზია, რომ ამ პიესებს წიხლი ჰკარით? ვინ და რა უშლის ხელს მათ გამოჩენებას? 1) სცენის სიღარიბე; 2) თვით არტისტების ნაკლულევანება; 3) საზოგადოების ახირებულობა და 4) ბავშური ტიტინი სხვადასხვა რეცენზენტებისა, რომელთაც ჩაუგდიათ ხელში ამა თუ იმ ჟურნალ-გაზეთის ფურცლები და მსჯავრსა სდებენ ხელოვნებას. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „ყვავი რომ ვარდზე შეჯდება, თავი ბულბული ჰგონიაო“.

აკაკი.

(შემდეგი იქნება)

ჩვენებური ამბები

სოხუმი. 10 ოქტომბერს, დილის 2 საათზე სოხუმისაკენ მომავალი გემი «პრინცი ოლდენბურგელი“ კლდეს დაეჯახა გუდაუთიდამ 1$^1/_2$ ვერსის მანძილზე. გუდაუთელები გემის სტვენამ და ზარბაზნის სროლამ გამოაღვიძა, გაექანენ გემისაკენ და ნახეს, რომ გემი ნახევრად დაშავებული არის, მაგრამ კაპიტანს არ მოუნდომნია ხალხის გარდასხმა, რადგან ჰგონებია, გემს დავსძრავო. როცა ყოველმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, ხალხი გადმოსვეს—70 კაცი იყო—ნავებით. საქონელი დასველებულია. იმედი აქვთ გემის დახსნისა,

---

ფელეტონი

ვეფხის-ტყაოსანი.

(დასასრული *)

IV.

გ. ქართველიშვილის-მიერ გამოცემულ „ვეფხის-ტყაოსანში“, სადაც ავთანდილი, პირველ მოგზაურობის შემდეგ, როსტენსა და დიდებულთა კრებულს უამბობს თავის თავგადასავალსა და უცხო მოყმის პოვნას, ერთი ცოტა საეჭვო ტაეპია, რომელიც ბ-ნ ალ. ს—ჯიშვილსაც ყალბად მიაჩნია: „მას ვახსენებდე, ნუ გიკვირს, თქმა მჭირდეს მიწყივ ახისა“ და სხვა. ბოლო სტრიქონი წინად ასე ყოფილა: „ვარდი დამჭკნარი ეკალსა შუა შორს მყოფი ახისა“. საერთოდ აზრი ამ ტაეპისა და უფრო უკანასკნელ სტრიქონისა გაურკვეველია. სიტყვა ახისა ივ. მაჩაბელს სამად გაუყვია: ახ ის ა, თუმცა ამითიც არა გამოირკვა-რა. ბ-ნ კარიჭაშვილს ეს სიტყვის განაწილება ძალიან მოსწონებია, მიჰყოლია, ბატონო, და საცა სიტყვა არ მოსწონებია ან აზრი ვერ გაუგია, სულ დაუქუცმაცებია. თუმცა ზემოდაც შენიშნავდით ამის მაგალითს, მაგრამ რამდენიმე კიდევ მოვიყვანოთ:

ტაპ. 103—2,

უცხო ყმა ვინმე უნახავს.
ასრე დალრეჯით ა მითა.

ბოლო სტრიქონი წინად ასე ყოფილა: „ასრე დალრეჯით ამითა“. ბ-ნი კარიჭაშვილი ამბობს: „ამ ფრაზაში ზმნა ცხადად არა ჩანს. მის მნიშვნელობაა: ასრე დადრეჯით არის მითა, რისთვისაც საჭიროა დაიწეროს ისე, როგორც ჩვენა გვაქვს“.

ჩვენის აზრით, არც წინანდელი და არც დავით კარიჭაშვილის რედაქცია სწორე არ უნდა იყოს. აზრი ცხადია—ამიტომ ესე დალრეჯით არის, ანუ დადრეჯითაა. განცალკევება ანისა მოუხერხებელია და შეუწყნარებელი. ქართულ ენაში ანი შეიკვეცება წინა სიტყვას და შესმენილად გარდაიქცევს. რითმისთვის რომ გამოაკლდეს წინა ანი, უკანონობა, არ იქმნება. განმეორებული ანი—ას რუსთაველს საჭიროდ არ მიაჩნდა, რადგან უმისოდაც აზრი ცხადად იხატება.

ტპ. 245—4 მზის ა
„ 354—4 ღირს ა
„ 351—4 ვის ა
„ 387—1 რაგვარ ა
„ 468—3 ლალის ა
„ 630—2 ხალვათ ის ა
ერთი სიტყვა სამად უქცევია
„ 859—3 რაც ა კარგა.
„ 1561—3 შენგან აო ჩემი ლონე.
და სხვა მრავალი.

ბ-ნ კარიჭაშვილს, ამ განცალკევების სისტემის მოყვარულს, სხვა სიტყვებიც დაუყვია:

„ 306—4.

თვალთა წინა წაგვივიდა,
ლალი, კუშტი ამაყი, წა

წა ნიშნავს წავიდაო, მიდისო. წინანდელ გამოცემებში იყო ამაყიწა, რომელიც უნდა ნიშნავდეს ამაყად მიმავალს, თუმცა ბოლო მარცვალი უფრო რითმისთვის არის.

610—3.

წავიდე მაიკენ მე, წა.

აქაც იგივე მნიშვნელობა აქვს მეწა კი გაუგებარიაო.

641—3.

ავთანდილს აცა ცრემლი წასცის
წამწამთაგან ერთ-სახე, წა.

ვითომ იმავე აზრით.

449—4.

აგრე ვყავ რე

ამ რეს რაღა აზრი უნდა ჰქონდეს?

565—2.

ვინ არ დამქოლოს, ვინ არ და.

აქაც ერთი უკანასკნელი სიტყვა გაასამადა, თუ წინად გაუგებარი იყო, ეხლა სულ არარად აქცია.

514—3.

ჩემიცა დაწვა მზე ბარე.

წინად იყო მზებარე.

V

როგორც ეტყობა, ბ-ნ კარიჭაშვილს წინად სდომებია ყოველი მის-მიერ ვეფხის-ტყაოსნის ტექსტში შეტანილი ცვლილება სხოლიოებით აღენიშნა, და კარგიც იქმნებოდა: თავის დანაშაულს ცოტად მაინც შეიმსუბუქებდა. მაგრამ შემდეგ ზოგი მივიწყებია და ზოგიც ველარ მოუხერხებია სიმრავლისა გამო. „ვეფხის ტყაოსნის“ მკითხველი ყველგან და ადვილად იპოვის გამბედავ რედაქტორ-კრიტიკოსის უსხოლიო შესწორებას. ზემოდ აღნიშნულს გარდა, კიდევ მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს.

ტ. 9—4.

გესმასთ ჩემი ნაუბარი.

წინად იყო გესმისთ.

17—4.

მიაჯეთ ვინ! ხორცთა დაწვა
კმარის, მისცეს სულთა ლხენა.

ეს გაკვირვების ნიშანი რას უნდა მოასწავებდეს? წინად იყო: მეაჯეთ, ვინ ხორც თა დაწვა კმარის, და სხვ.

20 და 21 ტაეპი წინანდელ გამოცემებში გადაბმულია და გასაგებიც არის. დ. კარიჭაშვილს პირველ ტაეპის ბოლოს მძიმე დაუსვამს და სრულიად განუშორებია. აქ გრამატიკული შეცდომაცაა და აზრსაც აბნელებს.

27—4.

წინად იყო:

ვინცა ეცდების თმობათა,
ჰქონდეს მრავალთა წყენათა,

ეხლა ესე არის:

ვინცა ეცდების თმობამცა...

38—1. არ დაგვჭკნობია-ს მაგიერ სწერია დაგვჭკნობია.

20—4.

წინად იყო:

ცრემლისაც დადენით;

გადაუკეთებია: ცრემლისაცა დენით.

360—2.

წინად იყო:

კურთხეულ არს, რამან ღირსმყა

გადაუკეთებია:

კურთხეულ ა რამან ღირსმყა.

558—4.

იყო:

მისად პატიჟად მზადესა.

ეხლა არის:

მისად პატიჟად მზად ეს ა.

აქ ზმა თუ ჰგონებია და სწორედ კარგად გამოუცვნია.

1076—2.

ფატმან ზის წყენით, შევიდა
ავთანდილ მარტო ხევითა.

უკანასკნელი სიტყვა ახალ გამოცემაში გაორებულია: ხე ვითა, ვითომ ხესავით შევიდაო.

1446—4. სიტყვე „კამდება“ გადაუკეთებია კმა დება.

1489—3. ვითა ქარი არავი გადუკეთებია არ ავი.

1570—3.

ბრძანებისა შემცილენი
მათთა ხმალთა დავეწყლულდეს.

სიტყვა ხმალთა გადუკეთებია ხმალთად.

470—1.

წინად იყო:

დაავდეს მღერა მუტრიბთა,
სულეო თავი ხარიან.

ეხლა ბოლო სტრიქონი ასე არის:

„ჰსულეო!“ თავი ჰხარიან.

შესაძლოა, ეს ფორმა სჯობდეს, რადგან აქ ის აზრია: სული, ხმა გაკმიდეთ, გაჩუმდით, დაწყნარდითო. სიტყვა ჰსულე ამავე მნიშვნელობით სხვა ადგილსაც არის ნახმარი წინანდელ გამოცემებშიაც და აზრიც უფრო ადვილი მისახვედრია. ავთანდილი ეუბნება ასმათს. პირველად რო გამოელაპარაკა: (ტპ. 229):

ეტყოდა: ჰსულე, რამც გიყავ,
კაცი ვარ, ადამიანი...
სხვად არას გიზამ, ნუგეშის,
ნუ ჰყივი აგრე ხმიანი.

ამ სიტყვის მნიშვნელობა ბ-ნ კარიჭაშვილს არა აქვს განმარტებული არც შენიშვნებში და არც ლექსიკონში, ასე რომ გადაკეთების საბუთი არა სჩანს.

ვიკმარებდით მოყვანილ მაგალითებით, რომლებიც კარგა ახასიათებენ ბ-ნ კარიჭაშვილის შრომას, მაგრამ, რადგან „ვეფხის-ტყაოსნის“ შემუშავება ამით არ დასრულებულა, ჩვენ არ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავტოვოთ ერთი მხარეც, თუმცა ვეცდებით არ გავაჭიანუროთ ჩვენი განხილვა.

VI

ჩვენ გაგვაოცა, რომ ამ ახალ გამოცემაში 1576 ტაეპია. ეს არ ეთანხმება არც დ. ჩუბინაშვილისა და არც გ. ქართველიშვილის გამოცემას. მართალია, დ. კარიჭაშვილი წუნსა სდებს რუსთაველის წინასიტყვაობასა და უკანასკნელ 5 ტაეპს, მაგრამ ერთიცა და მეორეც თავის ადგილს არის დაბეჭდილი. მაშ რაშია განსხვავება? დ. კარიჭაშვილი თავის წინასიტყვაობაში და შენიშვნებში არას გვეუბნება ამის გამო. ავათვალ-ჩავათვალიერეთ ახალი გამოცემა და ერთს ადგილს შევნიშნეთ რომ, ტაეპი აკლია. ეს არის უკანასკნელი ტაეპი ავთანდილის ლოცვისა, ტარიელს რო გაეყარა და მულღაზანზაროსკენ მიდიოდა:

მოვიდიან შესამკობალად
ქვეყნით ყოვლნი სულიერნი:
ტყით ნადირნი, წყალში თევზნი,
ზღვით ნიანგნი, ცით ფრინველნი,
ინდოთ, არაბთ, საბერძნეთით,
მაშრიყნი და მაღრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი
და მისრეთით ეგვიპტელნი.

მართალია, ბ-ნ ალ. ს—შვილის მიერ ეს ტაეპი ყალბად არის ცნობილი, მაგრამ ის ხომ არავის ავალებს, რაც მე დავიწუნე, ეხლავე უნდა განდევნოთო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, თვით ბ-ნ ს—ჯიშვილს რომ გამოეცა „ვეფხის-ტყაოსანი“, გაბედულად ვერ შეახებდა ხელს ყალბად მიჩნეულ ტაეპებს, ვიდრე სხვებიც არ გაარჩევდნენ და არ დაემოწმებოდნენ, რომ მისი აზრი ჭეშმარიტია. წინანდელ გამომცემლებსა და ძველ მწერლობის მოყვარულთ ეს ტაეპი ყალბად არ სჩვენებიათ. მაგალითად, პლატონ იოსელია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ დიდი ღელვა არ ასტყდა. გემი ეკუთნის «შავი ზღვის საზოგადოებას».

—

ქუთაისი. ქუთაისის ქართველი საზოგადოება მოუთმენლად ელოდა 12 ოკტომბერს, რადგანაც ამ დღეს იყო დანიშნული ქართულ წარმოდგენების დაწყება, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. 12 ოკტომბერს წარმოდგენა აღარ შესდგა, როგორც ამბობენ, ვითომ იმ მიზეზის გამო, რომ სახიობმა ქალებმა არ ინებეს ქუთაისში ჩამოსვლა ტფილისიდანაო. სწორედ უნდა მოგახსენოთ, ძლიერ საწყენად დარჩა საზოგადოებას ამის გაგონება. აქაური საზოგადოება ყოველთვის დიდის პატივისცემით ეგებებოდა ტფილისიდან ჩამოსულ არტისტებს და ყოველთვის ღირსეულად აფასებს სცენის მუშაკთა შრომას შეძლებისადაგვარად. აგერ ოკტომბრის ნახევარი გავიდა და ქართული წარმოდგენები არც გამართულა და არც ვიცით, გაიმართება თუ არა ამ სეზონში. იმედი გვაქვს, რომ დრამატიული საზოგადოების გამგეობა არ შეზღუდავს თავის მოქმედებას მარტო ტფილისით, მით უმეტეს, რომ ყველა ქართული სცენის არტისტები მან დაიქირავა და ქუთაისში დასი აღარ შესდგა. იმედი გვაქვს, რომ 19 ოკტომბერს მაინც დაიწყებენ სეზონს ქუთაისში.

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი. ამას წინად ეგერში მოხდა კრება ჩეხიის გერმანელ სამღვდელოებისა, რომელიც ბრალსა სდებდა ჩეხთა სამღვდელოებას, —ზოგიერთ გერმანელთა მრევლს ჩეხებად გარდაქმნას უპირებსო და ამისთვის თხოულობდა, რომ განსაკუთრებული გერმანელი ეპისკოპოსი დანიშნონ ჩეხიაში გერმანელთა საეკლესიო ინტერესების დასაცავადაო. ჩეხთა სამღვდელოებამ სამაგიერო კრება მოახდინა ქ. პრაგაში და დაადგინა შემდეგი: „ჩვენ წინააღმდეგობას ვაცხადებთ ეგერის კრების მოთხოვნილებათა გამო, რომ დაარსებულ იქმნას ახალი ეროვნულად განსაზღვრული საეპისკოპოსოები. ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ, რომ ჩეხიაში ეპარქიების რიცხვი გამრავლდეს, მხოლოდ წინააღმდეგნი ვართ გერმანელთა მოცილეობისა: 1) სასულიერო მოსაზრებით, რადგან ეკკლესიაში არაა ხალხთა სხვა-და-სხვაობა: 2) მამულიშვილურის მოსაზრებით: ჩვენ ჩვენის სამწყსოთი სახელმწიფო-საუფლო იდეალების ბაირაღქვეშ ვდგევართ და მედგარ წინააღმდეგობას გაუწევთ ყველას, ვინც განიზრახავს ჩვენის სამშობლოს ერთიანობის დარღვევას. კიდევ ერთი გარემოებაც გვაიძულებს წინააღვუდგეთ გერმანელთა მოთხოვნილებას; გვშიშობთ, რომ იმ ეპარქიებში, სადაც გერმანელნი უმრავლესობას შეადგენენ, ჩეხები დაიღუპებოდნენ“. შემდეგ ჩეხთა სამღვდელოება აცხადებს თავისს ეროვნულ-პოლიტიკურ იდეალებს: „ჩეხიის სამღვდელოება, რაც უნდა გაჭირვება შეხვდეს, არასოდეს არ უღალატებს თავისს წინაპართა. «ჩეხიის აღორძინების» მოღვაწეთა ზნე-ჩვეულებას ჩვენ მუდამ ერთგულნი შვილნი ვიქნებით ჩვენის ერისა და მედგრად დავიცავთ მისს ისტორიულ უფლებებს, რომელნიც არა ერთხელაა დადასტურებული მეფის ფიცით. ჩვენ ბეჯითად ვთხოულობთ, რომ აღიარებულ იქმნას სახელმწიფო უფლება წმ. ვაჩესლავის გვირგვინის და დიდად მოწადინებულნი ვართ, რათა წმ. ვაჩესლავის გვირგვინი კვლავ გაბრწყინვალდეს ჩეხთა მეფის თავსა ზედა“. დასასრულ სამღვდელოება მოუწოდებს ყველა მოღვაწეთა და დასთა, —უკუ აგდეთ პირადი, წვრილმანი ანგარიშები, და შეერთებულის ძალით შეეცადეთ ჩეხთა ერის დაკარგულ უფლებათა აღდგენასაო.

იაპონია. როგორც „დაფანის“ სააგენტო იუწყება, იაპონიასა, ლონდონსა და ვაშინგტონში მყოფ ელჩებს განუცხადებიაო, როგორც მთავრობა გვატყობინებს, შორეულ აღმოსავლეთის მდგომარეობა არც ისე გაჭირვებულიაო.

ზოგიერთი სახელმწიფოები მაინც სხვა-და-სხვა ხმებს ავრცელებენ; მაგ., ვაშინგტონიდგან ცნობა მოსულა, —საზღვაო სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, თუ რუსეთსა და იაპონიას შორის ომი ასტყდა, ამერიკის გემები ამა და ამ ნავთსადგურებში უნდა დაბინავდნენო. აზიის მახლობელ ზღვებში ამ ჟამად 49 გემი ჰყავთ ამერიკელებს. ცხადია, შეერთებულ შტატებს განზრახვა აქვს ისარგებლოს ახალის ხელშეკრულობით, რომლის ძალითაც ჩინეთმა ორი ნავთსადგური უნდა დაუთმოს შეერთებულ შტატებს მანჯურიაშიო.

ჩინეთი. გაზ. «ეხო დე შინა»-ი იუწყება «ნამდვილს» ამბავს, რომ მარშალი სუ საპატიმროში მოკვდაო. გაზეთი დასძენს, თუ გავიხსენებთ დიუკალის გაიძვერულს მოქმედებას ჩინეთის სასახლეში, უნებურად გვპარება ეჭვი, ბუნებრივის სიკვდილით მოკვდა სუ, თუ არაო.

კუან-სის პროვინციის მეამბოხეთა ჯარების შეჭრა ჰონანის მთა-გორიან მიდამოებში, დიდად აფიქრებს ყველას.

შავი-ჭირი მუსრს ავლებს ძი-კიანგის მცხოვრებთ.

ბულგარია. იმ ლტოლვილთ, რომელთაც ბურგასის ოლქში შეაფარეს თავი, ცხადად ეტყობათ სურვილი უნიით შეუერთდნენ რომის კათოლიკეთა ეკკლესიას. საფრანგეთის კონგრეგაციებმა საუცხოოდ მოაწყვეს საქმე ბურგასის ოლქში და დიდს შემწეობასაც აძლევდნენ მაკედონიიდგან ლტოლვილთ და ამით მოიგეს მათი გული. გაზ. „ზერტ“-ი აღნიშნავს, რომ ერთხელ აგრეთ იყო აძრული ეს საკითხი —სამოციან წლებშიაც ჰქონდათ ბულგარებს ლაპარაკი უნია მიეღოთო, რადგან ბერძნებთანა ჰქონდათ ბრძოლა ეროვნულის ეკკლესიის გამო. მაშინ ცანკოვსაც-კი, ამ იშვიათ მამულიშვილს და რუსეთის დიდად მოყვარეს, ერთად ერთ ნამდვილ ღონისძიებად ბულგართა ერის სვე-ბედის გასაუმჯობესებლად უნია მიაჩნდა და პირადი მოლაპარაკება ჰქონდა გამართული პაპთან ამის შესახებ. ეს სარწმუნოებრივი მოძრაობა მხოლოდ სამოცდაათიან წლებში შეჩერდა, რადგან პორტამ საეკკლესიო დამოუკიდებლობა მიანიჭა ბულგარებსა და რუსეთმაც აღარ მიაწოდა სტამბოლელ ბერძენთა თვალთა ხედვის ასრით სარგებლობა.

ნარკვევი

არის განზრახვა, რომ გაძლიერდეს უფლება გუბერნატორისა. ამ განზრახვას წინ უძღოდა წერილები ზოგიერთ რეტროგრადულ გაზეთისა, რომ უთუოდ გუბერნატორებს მეტი უფლება უნდა მიენიჭოსო. ამ საგანზედ მსჯელობს ახალი ნომერი ჟურნალის „ვესტ. ევროპისა.“ სამსჯელობოდ ჟურნალი გამოუწვევია უფრო იმ გარემოებას, რომ სიბნელის მოყვარე გაზეთები მეტის-მეტსა თხოულობენ და სულ ავიწყდებათ, რომ კაცი მოხერხება და მხნეობა, თუ გინდ გუბერნატორიც იყოს ის კაცი, საზღვარ-დაუდებელი და დაუსრულებელი არ არის; ავიწყდებათ, რომ

შედარებით ვიწროდ შემოფარგლულს საქმეში უფრო ადვილია ოსტატობის გამოჩენა. ბევრის საქმის გამოკიდება, ათასი წვრიმალი იქა-აქა ამცირებს მოქმედების ნაყოფიერებას. ნუ თუ მართლ-მსაჯულება უფრო უფრო უზრუნველ-ყოფილი იქნებოდა, უკეთუ მისნი მსაჯვრნი გუბერნატორების ან მათის კანცელარიების დასამტკიცებელი რომ ყოფილიყო, როგორც წინად იყო? რადა იქმნებოდა სასამართლო, რომ მისი გარდაწყვეტილებანი იწერებოდეს ადმინისტრაციის კარნახით?

გუბერნატორთა უფლების გაძლიერების მომხრენი თხოულობენ, რომ გუბერნატორებს ემორჩილებოდეს საერობოცა და საქალაქო თვითმმართველობაც, სასამართლოც, საკონტროლო დაწესებულებანიც, პროკურატურაც-კი, რომელიც „ძველს კურთხეულს დროსაც-კი არ ემორჩილებოდა გუბერნატორს. ჟურნალი სამართლიანად ჰგონიბს, რომ დღევანდელზედ მეტად გაძლიერება გუბერნატორების უფლებისა სრულიად დასაგრავს და თითქმის დასთრგუნავს ყოველს საზოგადოებრივ თვითმოქმედებას. გუბერნატორებს რომ დაუმორჩილდეს და დაექვემდებაროს პროკურატურა, სასამართლო, საკონტროლო დაწესებულებანი, ეგ შეუძლებელი იქმნება, იმიტომ რომ მაგ ღონისძიებით სულ მოისპობოდა შეზღუდვა და ალაგმვა ადგილობრივის თვით-ნებობისა. უამისოდ-კი ძნელია დაცვა კანონიერებისა და ჭეშმარიტის წეს-რიგისა.

თუ იმას იტყვიან, რომ ამ ბოლოს დროს გახშირდა უწესოებანი და მღელვარება ქალაქად და სოფლად, ეგ აქ მოსატანი არ არის. გუბერნატორს დღესაც აქვს უფლება გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი, მიმართულნი მშვიდობიანობისა და მყუდროების დასაცველად; ახლაც ხელთა ჰყავს პოლიცია უწესოების წინ აღწინვე თავიდან ასაცილებლად, ჯარი ჰყავს კიდევ დიდის მღელვარების დასათრგუნავად. რა არა-ჩვეულებრივ ღონისძიებასაც მიჰმართავენ ხოლმე გუბერნიის უფროსნი წესიერების აღდგენის შემდეგ, ეს უკვე ცნობილია. რაღა უნდა მიემატოს ამისთანა თითქმის უსაზღვრო ძლიერებას? ამის გამოჩენა გაუჭირდება იმასაც-კი, ვინც მეტის მეტი მომხრეა ადმინისტრაციის ყოვლად შემძლებლობისა. იმ გზაზედ, რომელიც უკვე განვლილა ბოლომდე, სადღა უნდა წავიდეს კაცი, და თუ კიდევ შორს წასვლა უნდათ ზოგიერთებს, ეგ ან ჩვეულობით მოსდით, ან იმიტომ რომ ყველაზედ ადვილი ძალისადმი მიმართვაა. ეგ კეთილ-საიმედო საქმეც არის (სიტყვ. გადაკვრით არ ვამბობთ და არც ნართაულად) და მაგას არც ჭკუა-გონების გარჯა უნდა.

თეატრი და ხელოვნება

რუსული დრამა.

ორშაბათს, 13 ოკტომბერს, კრასოვის დასმა წარმოადგინა ნ. გოგოლის უკვდავი კომედია ,,რევიზორი''.

სამოც-და-ათის წლის წინად დაწერილია ეს კომედია და დღესაც სიცოცხლითა და ინტერესით სავსეა. დღესაც არ დაუკარგავს საზოგადოებრივი მნიშვნელობა და არც გვგონია ოდესმე დაჰკარგოს.

კომედიაში გამოყვანილი სულიერი მოძრაობა ყველა ამ სკვოზნიკ-დმუხანოვსკებისა ხლოპოვ-ლიაპკინ-ტიაპკინებისა და სხ., იმოდენა ნიჭით არის აღბეჭდილი სულიერი მშვიდობა ამ ხალხისა შიშით, სასჯელის მოლოდინით, დარღვეული ისე ცოცხლათ, ფსიხოლოგიურად, ჭეშმარიტად ნაჩვენებია, რომ ამ კომედიას ეცლება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც თავის დროისთვის ჰქონდა, და მსოფლიო, კლასიკური მნიშვნელობა ეძლევა. ყველგან და ყოველთვის უგუნურებით, უსვინდისობით დაბრმავებული ძალა, რომელსაც შელახვა ადამიანურ ღირსებისა, უარყოფა ყოველ ადამიანურ პრინციპებისა, ხელობად გადუქცევია, ეგრე იბნევა, კრთება, ეგრე ჰკარგავს სიმშვიდეს, როცა ამომავალი მზე სიმართლისა მიაყენებს თავისს სინათლეს.

აი ეს შეუმჩნევია ცხოვრებაში გოგოლს და თავისი გენიოსური ნიჭის მეოხებით მოუქსოვია კომედიათ, მოუძღვნია ჩვენდა გასასწორებლად; მაგრამ თანვე თავისი ცრემლ-ნარევი იუმორიც დაუტანებია; საშინელია, როცა კაცი ისე ეცემა ზნეობით! საშინელია დაბეჩავება, დაწვრილმანება ადამიანისა, მაგრამ ნუ ჰკიცხავთ იმათ, იმიტომ რომ მიზეზი ადამიანის დაცემისა... თქვენშივე, თქვენს ცხოვრების უთაოებაშია დამარხული.

აი ასეთს ფიქრს აუშლის ხოლმე კაცს ყოველთვის ეს კომედია და იმიტომაცაა, რომ კაცს შეუძლიან ყოველთვის სიამოვნებით მოისმინოს გოგოლის ეს გენიოსური ნაწარმოები.

მაგრამ ეტყობა იმ საღამოს ეგრე არა სჯიდა ტფილისის საზოგადოება, იმიტომ რომ წარმოდგენას მარტო ათიოდე კაცი დაესწრო და რაღა გასაკვირველია, რომ კრასოვის დასის არტისტები, რომელნიც ყოველთვის მწყობრად, ცოცხლად თამაშობენ, ამ საღამოს უგულოდ ამბობდნენ თავის როლებს, წამქეზებელს ძალას— ხალხის თანაგრძნობას მოკლებულნი.

ქ. ყი—ნი.

წერილი

რედაქციის მიმართ

თქვენს გაზეთ «ივერიის» 213 №-ში იყო მოთავსებული ბ-ნ ჰელაშვილის წერილი დიდი ჯიხაიშის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შესახებ. წერილი ყოველსავე სიმართლეს მოკლებულია. ბ. ჰელაშვილი გაწიწმატებული გვასაყვედურებს, ვითომ ჩვენ სისტემატიურად არ ვიცავდეთ სამკითხველოს წეს-რიგს. აი მისი სიტყვები: ბიბლიოთეკარის მეოხებით რაინდთა გასართობად გადაქცეულა სამკითხველოო; როცა მივედი გაზეთების წასაკითხათ, ყურთა-სმენა არ იყოვო.

ნი რუსულადაც-კი სთარგმნის ამ ტაეპს და განმარტავს, რომელი ხალხნი არიან დასახელებულნი *). ბ-ნ კარიჭაშვილს-კი აუღია კალამი და ამ ტაეპზე ჯვარი დაუსვამს.

ამ გარემოებამ გვაფიქრებინა, ბ-ნ კარიჭაშვილმა ხომ სულ არ განდევნა ტექსტიდან ბ-ნ ს — ჯიშვილის მიერ ყალბად ცნობილი ტაეპები. გადავშალეთ წიგნი აქა-იქ და დავრწმუნდით, რომ ზოგი „ყალბი“ ტაეპი თავის ადგილს არის დაბეჭდილი. მაშ რა აკლია?

შემთხვევით წავაწყდით კიდევ ადგილს, სადაც ერთი ტაეპი გამოკლებულია ავთანდილის პირველ მოგზაურობის ამბავიდან:

> თავსა უთხრა; «მოჰკვდე, გიჯობს
> სიცოცხლეს აუგიანსა:
> მიხვალ, დაგხვდების თინათინ,—
> ანათებს დღესა მზიანსა,—
> გკითხოს მის მზისა ამბავი,
> რა გმართებს ვაგლახიანსა?“
> იგონებს წამწამ, მიჰყვების
> ტყის პირსა შამბნარ-ტყიანსა.

(ახალი გამოცემა, 189 და 190 ტაეპთა შორის).

იქვე (190 და 191 შუა) განდევნილია ტაეპი:

> მთით ჩამოვიდა ავთანდილ,
> განვლო წყალი და ტყენია,
> მინდორს აცოვრებს ტაიჭსა,
> შექდრენით მონაწყენია...

იმავე თავში (218 და 219 შუა) გამოტოვებულია:

> ყმამან უთხრა: დაო ასმა,
> ხიდნი ზღვასა ჩაგვიცვივდეს,
> ველარ მივხდით ჟამიერად,
> ჩვენ ვისიცა ცეცხლნი გვწვიდეს.

იქვე (248—249) აკლია:

> მაშა რადგან მიჯნურობა
> შენად ღონედ მოიგონე.
> არ ეგების ამას იქით,
> თუმცა თავი არ გამონე...

კიდევ (253—254):

> იმა მოყმისა ამბავი
> არსადა არ იპოვების,
> თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის,
> არვისგან დაიჯერების...

კიდევ (312—313) ტარიელის სიტყვები:

> წიგნი წიგნსა ეცემოდა,
> დედოფალი ოდეს შობდა,
> მოციქული მოციქულსა.
> ინდოეთი სრულად სცნობდა.

კიდევ (1278—1279) ნესტან-დარეჯანის წიგნი ქაჯეთის ციხიდგან:

> შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ
> ჭმუნვითა ამისთანითა...

სხვა ტაეპების ძებნა შორს წაგვიყვანს. ესეც საკმარისია იმის დასასაბუთებლად, რომ ბ-ნ კარიჭაშვილს, მხოლოდ თავის მოსაზრებით, ნებითა და სურვილით, რამდენიმე ტაეპი გაუძევებია. ამ ჟამად არ შევეხებით იმ ტაეპების ღირსებას, იქმნება მართლა გასადევნიც იყოს, ხოლო გვიკვირს, როგორ გაჰბედა შეგნებულმა კალმა მოსპობა ისეთის ნაწერისა, რომელიც იმას საეჭვოდ მიაჩნია და ჯერ კი არ არის რიგიანად გარჩეული და უარყოფილი საზოგადოდ კრიტიკის-მიერ, ნუ თუ ეს დიდი ცოდო არ არის ქართულის მწერლობისა და ერის წინაშე?

ერთი საოცარი ამბავი კიდევ უნდა დავუმატოთ ზემორე ნათქვამს.

სრულიად შემთხვევით წავაწყდით ერთს უცნობ ტაეპს, რომელიც წინანდელ გამოცემებში არ არის. თვით დ. კარიჭაშვილი ამ ტაეპის გამო არას ამბობს არც წინასიტყვაობაში და არც შენიშვნებში. აი ეს ტაეპი (423), რომელიც ჩართულია ტარიელის ხატაველთა სამეფოზედ გალაშქრების ამბავში. ტარიელი ამბობს:

> მე დილასა მოციქულთა
> სიტყვა ტკბილი შევუთვალე;
> რამაზს ჰკადრეთ: „მოგვეგებვი.
> მოდი მოვალ მეცა მალე!“
> ნახევარ დღე სხვა ვიარე,
> პირსა თავი არ დავკრძალე.
> განგებაა, დღეცა მომკლავს,
> ქვემცა სადა დავიმალე.

ეს ტაეპი ყალბი უნდა იყოს და უალაგო-ალაგსაც არის ჩაჩხირული, მოთხრობის მსვლელობას უშლის და შიგ-კი არა ურია-რა. მაინც და მაინც სასურველია ვიცოდეთ, რომელ და როდინდელ ვარიანტიდგან ანუ გამოცემიდგან არის ამოღებული.?

ამ ერთმა ტაეპმა ეჭვი აგვიშალა, კიდევ ხომ არა არის-რა ჩამატებული ამ ახლად გამოცემულ „ვეფხის-ტყაოსანში“. რადგან ეს გამბედავი კრიტიკოს-რედაქტორი მეტად შეუბრალებლად მოპყრობია დიდებულ თხზულებას, ვგონებთ, ჩვენი ეჭვი საფუძვლიანი უნდა იყოს.

VII

ჩვენ დრო და მოცალეობა არა გვაქვს ძველი და ახალი გამოცემა ერთმანეთს შევადაროთ; ტაეპი ტაეპს, სტრიქონი სტრიქონს და სიტყვა სიტყვას შევუწონოთ, რომ ყოველი ცვლილება აღვნიშნოთ და დაწვრილებით გამოვარკვიოთ, რა ნაირად არის გადაკეთებული ქართველთა საუნჯე. ისედაც მკითხველი გავაბეზრეთ მაგალითების ამოკრებით, თუმცა უამისოდ ნამდვილ აზრს ვერ შევადგენდით ამ ახალ გამოცემის შესახებ. ეხლა კი სრული საბუთი გვაქვს ჩვენი სამართლიანი მსჯავრი დავსდოთ ამ წრე-გადასულ შრომას.

ბ-ნ კარიჭაშვილის წინასიტყვაობა და შენიშვნები, როგორც ნიმუში „ვეფხის-ტყაოსნის“ განმარტებისა და კრიტიკისა, ავია თუ კარგია, გამოსადეგია მხოლოდ მეცნიერთათვის, და არა ხალხში გასავრცელებლად, რადგან მოუმზადებელ მკითხველს შინაარსის გაგებას კი არ გაუადვილებს, არამედ უფრო გაუძნელებს.

თვით ტექსტი კი „ვეფხის-ტყაოსნისა“, ბ-ნ კარიჭაშვილის მიერ, თავისებურად შემუშავებული და შებღალული, არამც თუ ხალხში გასავრცელებელი არ არის, არამედ სრულიად უვარგისად უნდა იყვეს ცნობილი. უკეთუ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა მატერიალურის სარგებლობით იხელმძღვანელებს და წიგნის მოსპობას არ მოისურვებს, სკოლებში მაინც ნუ გაავრცელებს. ბავშვი რო გაიზეპირებს რომელსამე დამახინჯებულ ტაეპს, შემდეგ მის ხსოვნიდგან ამოფხვრა და გადასწავლება შეუძლებელი შეიქმნება.

ამასთანავე საჭიროდ მიგვაჩნია გავაფრთხილოთ ყველა კერძო გამომცემელი, რომ კარიჭაშვილისეულ გამოცემას ხელი არ მოჰკიდოს და არ გადაბეჭდოს, ვინაიდგან ამით „ვეფხის-ტყაოსანი“, ისედაც გადამწერთაგან შელახული, უფრო დამახინჯდება. გ. ქართველიშვილის გამოცემამ მოსპო დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, რომელიც დღეს საშოვნელი აღარ არის. ხვალ და ზეგ „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ გამოცემა განდევნის გ. ქართველიშვილის გამოცემის ტექსტს და ამ რიგად, ყველა გამომცემელმა რო თავისებურად შეაკეთოს ეს წიგნი. მაშინ ისიც კი აღსადგენი გაგვიხდება, რაც დღეს ხელთა გვაქვს და შესწავლას გვავალებს.

დასასრულ არ შეიძლება საყვედური არ გამოვუცხადოთ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას, რომელიც ესე უყურადღებოდ და კადნიერად მოეპყრა გენიოსის თხზულებას, არ გადაათვალიერა ბ-ნ კარიჭაშვილის შრომა და გადასხვაფერებული „ვეფხის-ტყაოსანი“ გამოსცა.

—

მცირე შენიშვნაც: „ვეფხის-ტყაოსნის“ ყოველ ტაეპის უკანასკნელ სტრიქონს წინ უზის და. არავის აქამომდე ეჭვი არ გამოუთქვამს, ვითომც ეს და პოემის ავტორს არ ეკუთვნოდეს. რამდენადაც ვიცით, ყოველ ძველ ვარიანტში დაცულია ეს და; წინანდელ გამოცემებშიც არის. გ. ქართველიშვილის გამოცემაში კი არ არის, ეტყობა ივ. მაჩაბელს არ მოსწონებია. მას შემდეგ კერძო გამოცემებშიც აღარ მოიპოვება. ეხლა ბ-ნ კარიჭაშვილმა და მასთან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამაც კვერი დაუკრა. ამ რიგად ეს საწყალი და სამუდამოდ ამოიფხვრა.

ეს დანაშაულობაა ჩვენის ძველის მწერლობის წინაშე.

ჩვენ არ მოგვწონს ეს მარცვალი, კითხვაში ცოტად გვაფერხებს, მელოდიასაც უშლის და ამის გამო უნდა განიდევნოსო, —ვგონებ, ესე ბრძანებენ ჩვენი კრიტიკოსები.

როგორ? თქვენ რომ არ მოგწონდეთ, ვისი რა ბრალია? თქვენ უცხო ენაზედ აღიზარდენით, უცხო და ახალ პოეზიას შეეჩვიეთ და შეეთვისეთ და ახლა გნებავთ, ჩვენი ძველი მწერლობაც თქვენს გემოვნებაზედ გადააკეთოთ?

ეს მეტის-მეტია!

რაც შეეხება მელოდიას, თქვენ გინდათ რუსთაველს მელოდია ასწავლოთ? „ვეფხის-ტყაოსანი“ თავით ბოლომდე უმაღლითო, შეუდარებელი მელოდია არ არის? თქვენ რო „ვეფხის-ტყაოსნის“ წაკითხვა არ იცოდეთ, ვისი რა ბრალია. აბა წააკითხეთ მოხუც კაცს, ანუ ქალს და ყური დაუგდეთ, თუ შენიშნოთ, რომ და ცოტად მაინც აფერხებდეს.

ამ სტრიქონების დამწერს ეხლა თვალწინ მიდგა მოხუცი მამიდა, მწიგნობარი, ძველის მწერლობის მოყვარული, რომელსაც „ვეფხის-ტყაოსანი“ მრავალჯერ გადაკითხული და გაზეპირებული ჰქონდა, მაგრამ მაინც აცოცხლებდა და ატკბობდა. ის რო მღერითა ანუ ღაღადით „ვეფხის-ტყაოსანს“ კითხულობდა და ღაპა-ღუპით ცრემლს აფრქვევდა, სწორედ საუცხოვო სანახავი და საამოს ასმენი იყო. ბავშვს არა გამეგებოდა-რა წიგნის შინაარსისა, მაგრამ მელოდია-კი მესმოდა და მიზიდავდა; მოვუჯდებოდი მამიდას და გატაცებით დიდხანს ყურს ვუგდებდი, ვიდრე ბავშვური ბუნება სხვა გასართობს არ მომანდომებდა.

არა, ბატონებო, ვსცდებით, როდესაც ძველს მწერლობას ეხლანდელს კალაპოტში ვაყენებთ. ნუ, ნუ გავკადნიერდებით!

შიო დავითიშვილი.

---

*) Кавказская Жизнь, кн. II, стр. 13.

მე ძლიერ მაკვირვებს ავტორის სიტყვები, რამ მიიყვანა იმ ზომამდე რომ ამისთანა შეუბრალებელი, მსჯავრი დაგვდვა და ცილი დაგვწამა. მადლობა ღმერთს რომ კიდევ რამდენიმე გზით ყოფილა როგორც „ივერიაში“ სხვა-და-სხვა გაზეთებშიაც მოთავსებული წერილები ჩვენის სამკითხველოს შესახებ, თორემ შენი მტერია, ბ-ნი პელაშვილისთანა შეუბრალებელი კორესპონდენტი გარეშე მკითხველების თვალში დამნაშავეს სკამზედ წამოგვასკუპებდა, ჯიხაიშელებმა კარგად იციან, რამდენათაც მართალია პელაშვილის სიტყვები. არ შეიძლება, ბ-ნო პელაშვილო, დაგვისახელოთ გასამზღრული დრო, თუ როდის იყო, რომ თქვენ მობძანდით სამკითხველოში და სიცილ-ხარხარი იყო, ან გაზეთების კითხვის დროს ხმაურობამ, მეყურეები როდის დაგირიდვიათ? რასაკვირველია თქვენ ამის დამტკიცება არ შეგიძლიათ და დიდი სიცრუეც გასლავს, თორემ მე თუ-კი რაიმე ნაკლეულობა მაქვს და ვინმე მამხელს, მე დიდი სიამოვნებით შეუდგები ჩემი ნაკლულობის გასწორებას და დიდს მადლობასაც შევსწირავ ჩემს მხილებელს გაფრთხილებისთვის, მაგრამ მე რომ გაზეთების კითხვის დროს არავის ნებას არ ვაძლევ ხმაურობისას, ამაზედ ყველა ჯიხაიშელი მკითხველები დამემოწმება. და თქვენ ბ-ნო პელაშვილო, უმჯობესი იქნება, რადგან შრომას წევით და კორესპონდენტობას კისრულობთ, სიმართლე სწერეთ და არა მოჭორილი სიტყვებით აურიოთ გზა გვალი მკითხველებს, ესეც ნუ დაგავიწყდებათ, ბეჭდვითი სიტყვას თუ რა გავლენა აქვს ხალხის თვალში. თუ კორესპონდენტის მოთხრობილი ამბები ერთხელ ტყუილი გამოდგა მერე მართალსაც არ დაუჯერებენ, კორესპონდენტს.*)

დიდიჯიხაიშის წიგნ-საცავ სამკითხველოს ბიბლიოთეკარი ივანე ცქიტიშვილი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 ოქტომბერი.

რიაზანი. ზარაიის ერობამ დაადგინა, დააფუძნოს აგრონომიული საბჭო.

მინსკი. სამეურნეო სა'ზოგადოებამ დაადგინა 1904 წლის შემოდგომაზე გამართოს პირუტყვთა მოშენების გამოფენა იარმუკით.

ორიოლი. კრომსკის ერობამ გამოსთქვა ის აზრი, რომ არჩევნების დროს წოდებათა უფლება მოისპოს.

დარმშტადტი. გრაფი ლამზდორფი სამშაბათს მიდის საფრანგეთში, საიდამაც იმ კვირასვე დაბრუნდება.

ტულუნი. ვერხნეუდინსკში ორი შემთხვევა ყოფილა ხოლერით სიკვდილისა; ხოლერა შემოუტანიათ შორეულ აღმოსავლეთიდან.

ვენა. იმპერატორმა სტეფანე ტისსას მიანდო კაბინეტის შედგენა.

პორტ-არტური. ნამესტნიკი კრეისერ «ასკოლდით» წავიდა ტალიენვანში, სადაც უნდა გასინჯოს დიდ ოკეანეში მყოფი სამხედრო ფლოტი.

14 ოქტომბერი.

კორონა. სასპატიო მოქალაქემ კრამსკომ ქალთა გიმნაზიის შენობისათვის შესწირა დიდი სამოსახლო ადგილი და 10,000 მ.

რომი. ინგლისის ელჩმა და პორტუგალიის საქმეთა რწმუნებულმა გადასცეს გარეშე საქმეთა მინისტრს განცხადება, რომ იტალიის მეფეს გადაეცეს სამედიატორო განსახილველად ინგლისისა და პორტუგალიის სამფლობელოთა განსაზღვრა სამხრეთ-აფრიკაში.

ბუქარესტი. მეფე ცოტა უქეიფობს.

ტოკიო. «რეიტერის სააგენტოს» კორესპონდენტთან საუბრის დროს იაპონიის მინისტრ-პრეზიდენტმა მწუხარება გამოსთქვა, რომ ევროპაში გაზვიადებული და უსაფუძვლო ცნობები გადასცეს დეპეშებიათ. იაპონიის მთავრობის მიერ მოლაპარაკება სწარმოებდა ინგლის-იაპონიის კავშირის ნიადაგზე, რომელიც მშვიდობიანობას მხარს უჭერს და status qyo-ს დაცვას აღიარებს. რუსეთიც ამნაირისავე მშვიდობიანობის მომხრეობითაა გამსჭვალული. «ამიტომაო, დაასკვნა მინისტრ-პრეზიდენტმა,—მე არ ვხედავ მიზეზებს, რატომ მოლაპარაკებამ ურთიერთ შორის სასურველი შედეგი არ უნდა მოიტანოსო. ყოველს შემთხვევაში, აწინდელ საქმეთა მდგომარეობაში ისეთი არა არის-რა, საფუძველი გვქონდეს ვიფიქროთ, რომ საქმე საშიშ მდგომარეობაში იყოს.

ლივერპული. დასაზღვევი პრემია დასწიეს ომიანობის დროსთვის 35 ეინიდან 25-მდე.

---

*) მართლწერა და ქართული ავტორისა უცვლელად დავტოვეთ. რედ.

პეტერბურგის ბირჟა 4 ოქტომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	$37,32\frac{1}{2}$
ლონდონში ჩეკები	94,55
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,60
ბირჟის დისკონტი.	$5—6\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$99\frac{21}{2}$
4% სახ. სესხი 1902 წ.	$90\frac{3}{4}$
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$95\frac{1}{8}$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	443 მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	332 წვ. გაყიდ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$282\frac{3}{4}$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
$4\frac{1}{2}$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	$91\frac{1}{4}$ გაყ.
% ქუთ. სა[illegible] მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	9625 გაყ.
აქციები. „ „ ,,	472
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	3850 გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა დაამხ.	$193\frac{1}{2}$ წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

გამოსადეგი ცნობები.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74_{75} ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს; 1) სამგზავრო № $7/_3$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდსი ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ., ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ოლგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოქტომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 სათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინ კვიცის ქ. № 27)

ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

1 ხარისხისა გირვანქა	11 კ.
2 „	8 კ.
3 „	6 კ.
სუკი	15 კ.
ცხვრის ხორცი	10 კ.
კამეჩისა	7 კ.
ღორისა	
1 ხარისხის (საკატლეტე)	11 კ.
2 „ (ბარძაყი)	10 კ.
3 „ (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული)	8 კ.

ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

1 ხარისხისა	5 კ.
2 „	$3\frac{1}{2}$კ.
3 „	3 კ.

მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

კარეტა ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე.

გარდასახადი:

1 კლასით	15 მან.
2 „	10 „
3	5 „

ლინეიკა გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსადა ჩერდება.

გარდასახადი:

1 ადგილისა	6 მ. 80 კ.
2 „	4 „ 80 „

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთ გზობით	30 „
ქალაქიდგან ავლაბარში	40 „
ნავთლუღში	50 „
ავლაბრიდგან ნავთლუღს.	30 „
ნათლუღიდგან ქალაქს	40 „
ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 „
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს	40
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე	80 კ. „
კრწანისის ბაღამდე	80 „
ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე	80 „
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 კ.
იქიდამ ნათლუღამდე	1—20

იქ თუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ლი საათამდე; შემდეგ-კი 1 ოქტომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოქტომბრამდე 30 კ.

განცხადებანი

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული სამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების გრითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით. XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი. 50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და ითო ცალი ღირს ერთი მან.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

ექიმი ბესარიონ პაპოვი

სწამლობს განსაკუთრებით ყელ-ყურისა და ცხვირის ავადმყოფობას. მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა ორშაბათისა და შაბათისა საღამოს 5—7 საათზედ. სხვა დროს მიღება შესაძლოა წინადვე შეთანხმებით. კუკია, რეუტოვის ქუჩა № 26, ავჭალის ქუჩის კუთხეში.

(10—5)

როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საგრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

Б. М. МИРИМАНІАНЪ

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—3)

ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 ოქტომბრისთვის 1903 წლისა.

აქტივი.

	მან.	კაპ.
I. კასა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები).	16231	61
II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ დაწესებ.	28300	—
III. პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ.	1156	58
IV. სარგებლიანი ქაღალდები საზოგადოების საკუთვნონი: ა) უზრუნველ-ყოფილნი: . 1591—76 ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი 7927—	9518	76
V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი	7283	19
VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი	310607	80
VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით.	500	—
VIII. პროტესტ-ქმნილი ვექსილები	5711	21
IX. განაღდება ვადიანი ქაღალდებისა.	1052	25
XI. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. . 17830 — ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღ. 34386— გ) საქონელზედ . 24238—91 დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარ. 3800—	80254	91
XII. დასაბრუნებელი ხარჯი	114	75
XIII. მოწყობა და მომართვა	2234	14
XIV. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 121837—77 ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 38937—63	160775	40
XV. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღ.	162	50
XVI. სხვა-და-სხვა დებიტორები	372	44
. მიმდინარე ხარჯები	12500	70
ბალანსი	636776	24

პასივი.

	მან.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 819 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან.	91392	—
II. სათადარიგო თანხა:	8313	38
III. % % სათადარ. თანხის %-იან ქაღალ.	140	60
IV. შემოტანილი თანხა ა) მიმდინარე ანგარიშით . 179482—04 ბ) ვადით . 139675—76 გ) უვადოთ . 250—	319407	80
V. გარდასაცემი თანხა	2393	93
VI. გარდასახდელი სარგებელი.	835	20
VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა	20	—
VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§-ის თანახმად	556	—
IX. გარდასაცემად მიღებული თანხა	3285	17
X. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 84944—89 ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 58982—89	143927	78
XI. ვექსილები გადაგირავებული ტფ. სახელ. ბანკის განყოფ.	41460	—
XIII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებ.	2759	72
XIV. წაუღებელი დივიდენდი 1902 წლისა	1859	85
XV. მიღებული სარ ებელი	20324	81
XVI. მოგება და ზარალი 1903 წლისა.	100	—
ბალანსი.	636776	24
პასუხის-მგებლობა 819 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდ.	822528	—
საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება	11200	—
თამასუქები საკომისიოდ.	12147	67

Дозв. цензурою, Тифлисъ, 14 октября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-риг. семинаріи ზედოებით-რედაქტორი ბ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.